ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5369397

ნომერი: AR1815794

თარიღი : 05.04.2021

გაცემის თარიღი : 16.04.2021

გაცნობის თარიღი : 16.04.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , მიკრო/რაიონი III , N 31 კორპუსის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი მაზიაშვილი პ/ნ 01024037393
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 15 ბ. 16

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- III კლასი
- ვადაგასული
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დემონტაჟი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ირაკლი მაზიაშვილი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს რემბჯ რეალ ისთეითთ მენეჯმენტ ბიზნეს გრუპ
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405326320
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: აკაკი ჩივაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 31001048069

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 5130426
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 8.10.2020

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

ვბრძანებ

1. გაიცეს ქ. თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი III, N31 კორპუსის მიმდებარედ, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.10.08.005.131), მდებარე N01/1 შენობა/ნაგებობ(ებ)ის დემონტაჟის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლის გამო, ახალი მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალოს მშენებლობის სანებართვო მოწმობა.
2. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 16/04/2021 წლიდან 16/07/2021 წლის ჩათვლით.
3. დამკვეთი ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტის სათანადოდ დამოწმებული ეგზემპლიარი, კანონით გათვალისწინებული სრული შემადგენლობით,პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით, მათ შორის:
3.1. „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების შესაბამისად მშენებლობის ორგანიზაციის სრულყოფილი პროექტი და თვალსაჩინო ადგილას გამოკრული საინფორმაციო აბრა;
3.2. სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს სამშენებლო რეგლამენტით გათვალისწინებული უსაფრთხოების ნორმის დაცვით და უზრუნველყოფილ იქნას მომიჯნავე შენობის კონსტრუქციული მდგრადობა.
3.3. სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს ტერიტორიაზე არსებული კომუნიკაციების დაუზიანებლად.
3.4. მიწისზედა/მიწისქვეშა ხაზობრივი ნაგებობების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა/ნებართვა.
3.5. მწვანე ნარგავების (გარდა ხილ-კენკროვანი მცენარეებისა) ჭრის/გადარგვის აუცილებლობის შემთხვევაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურიდან მიღებული შესაბამისი ნებართვა.
3.6. გათვალისწინებულ იქნას მომიჯნავე შენობების ტექნიკური მდგრადობის კვლევაში მითითებული რეკომენდაცია.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- მშენებლობა განხორციელდეს წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.